

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON140000023)

ქმეხეთა

02 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში "შემსყიდველი", გამგებლის ზურაბ აბესაძის და მეორეს მხრივ ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“ (შემდგომში "მიწოდებელი"), გიორგი კანდელაკის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ემოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20^ე მუხლის „საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 07 თებერვლის N185 განკარგულებისა და „საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 23 იანვრის N3 ბრძანების საფუძველზე, საბეჭდი ქაღალდის 2014 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON140000023) შედეგად ვდებით წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 "მიწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების დარგლებში;

1.1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია 480 (ოთხასოთხმოცი) შეკერა A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV-30197630) სახელმწიფო შესყიდვა ხელშეკრულების დანართი #1-ის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

2.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
- ბ) უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მარკენებლები (დანართი #1)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 3000 (სამიათასი) ლარი, ყველა ხარჯის (ტრანსპორტირება და ა.შ.) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

3.2 1 შეკერა (500 ფურცელი) უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ღირებულება შეადგენს 6.16 (ექვსი ლარი და 16 თეთრი) ლარს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ეტაპობრივად,

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა მის მიერვე წარდგენილ შემსყიდველის ტექნიკური დავალებასთან;

გ) მოახდინოს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონელის ჩანაცვლება ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესაბამისი საქონელით;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ე) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 საქონლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.2 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. შეფუთვა

6.1 მისაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით.

7 საქონლის მიწოდების პირობები

7.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

7.2 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7.3 მიწოდების ადგილია ქ. მცხეთა, ანტიოქიის N7.

7.4 მისაწოდებელი საქონელი შემსყიდველს ხარდება მუხლი 6.1-ით გათვალისწინებულ შეფუთულ მდგომარეობაში.

7.5 მიწოდებულ საქონელთან ერთად მიწოდებელმა უნდა მიწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღეს-გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები, საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

7.6 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიწოდებელს.

7.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშწორებაზე.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მითითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

8.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას (საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა), რის შემდგომაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

9. გარანტია

9.1 საქონლის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიწოდებული ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ გონივრულ ვადაში (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან და/ან ნიმუშთან ერთად) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

10. ანგარიშსწორება

1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება.
2. ანგარიშსწორების ვადა - საქონლის ყოველი ეტაპის მიღება-ჩაბარებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე.
3. ანგარიშსწორების განხორციელებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადები.

11. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:

- ა) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა;
- ბ) ინფლაციის მაღალი დონე;
- გ) საქონლის საბაზრო ღირებულების არსებითი ცვლილება.

ეს მუხლი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ფასის ცვლილება აქარბებს 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაეკონომიკურად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიყვას ხელშეკრულების პირობები;

12.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

12.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მოზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

12.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააქარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

12.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და „შემსყიდველთან“ შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეტყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შესრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყენებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოწახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები

17.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მოცნებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ვერსიულად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი ვერსიულარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ვერსიულარი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მის: ქ.მცხეთა, ანტიოქიის N7
ს/კ 236098824
ბანკის დასახელება სს.ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE11LB0120118541380000

მიმწოდებელი:
ი.შ. „ვიორჯი კანდელაკი - ვესტა“
ქ. თბილისი, აღლამუნებლის #55/1
სს „საქართველოს ბანკი“
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა:GE75BG000000888000801
ს/კ: 01009005243

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი


ზურაბ აბესაძე

ინდივიდუალური მენარმე



